ოქმი:**ო37.37211451**

თარიღი:**25/05/2021**

ოქმი #12

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2021წელი, 24 მაისი

ქ. ოზურგეთი

12^{00} – საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია, საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: გ.ღურჯუმელიძე, გ. ჩაგანავა, ე. გორდელაძე, გ.კილაძე, ბ.დოლიძე, გ.თოიძე, ლ.ბიგვავა, ტ.აროშიძე, ლ.საჯაია, შ.გოგიბერიძე.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 11, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად დაამტკიცეს.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2021-2022 წლებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ოსიკო თოთიბაძე

განსახილველად დაეწერა დარგობრივ კომისიას (ლ.ბიგვავა).

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომაში მდებარე უძრავი ქონების მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N26.02.24.145) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ავთანდილ ჩხაიძე

შეტანილ იქნა დღის წესრიგში, განსახილველად დაეწერა დარგობრივ კომისიას

(გ.კილაძე).

3. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სერვიტუტის გამოყენებაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გოჩა კილაძე

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის გეგმის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ“-განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

ამ საკითხის განხილვისას საკრებულოს აპარატის უფროსმა ნ.თავდუმაძემ დააყენა საკითხი მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის თარგმნისათვის თანხის გამოყოფის შესახებ.

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0,5%-ის მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბაილეთის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრის კონჭკათის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის (ასფალტის საფარის მოწყობა) შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ირაკლი პაპავა

ბიუროს გადაწყვეტილებით, პეტიცია გადაეგზავნება მუნიციპალიტეტის მერიას (კ.შარაშენიძე) რეაგირებისათვის. საკითხი ასევე, დაეწერა დარგობრივ კომისიას (ლ.ბიგვავა).

ამ საკითხის განხილვისას აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიიდან ხშირად საკრებულოში არ შემოდის კანონით გათვალისწინებული სრულყოფილი ინფორმაციები პეტიციებზე რეაგირების თაობაზე.

7. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის „ნოდარ დუმბაძის“ სახელის მინიჭების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

8. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის „ალექსანდრე ღლონტის“ სახელის მინიჭების შესახებ“-- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

გადაწყვიტეს:

1. ბიუროს სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინებული N 1, 2, 3, 4, 5, 7, 8 საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს მიმდინარე წლის 28 მაისის სხდომის დღის წესრიგში, ამასთან N1 საკითხი განსახილველად და დასკვნის წარმოსადგენად დაეწეროს დარგობრივ კომისიას (ლ.ბიგვავა), ხოლო N2 საკითხი (გ.კილაძეს).

2. N6 საკითხი, პეტიცია, გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას რეგირებისათვის. ასევე, განსახილველად დაეწეროს საკრებულოს შესაბამისს დარგობრივ კომისიას .

2. საკრებულოს სხდომა გაიმართოს მიმდინარე წლის 28 მაისს დღის 12.00 საათზე საკრებულოს სხდომათა დარბაზში.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი